№ 231. 5 ნოემბერი, პარასკევი. 1866 1882 5 ნოემბერი, პარასკევი. № 231.

რედაქცია

გალაკტიონის ბრანსვიკზე ი. ივ. ბეგნაზაროვის სახლში ქალაქის ქვეშ.

ხელის-მოწერა

მიიღება თელავში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში ბელოვის (გვარიანის) წიგნის მაღაზიაში. კარგად მცხოვრებლებისთვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дрозба“.

„დროების“ ფასი:

თელის წელიწადში . . . 9 მან. | ხუთის თვეში . . . 3 მან.
ექვსის თვეში . . . 5 მან. | კრების თვეში . . . 1 მან.

დროება

გამოდის უოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ერთ ხაზზე 1 ან. ამისაზედ ნახევარ ან., ნაკლებ ასოთი ერთ ხაზზე 8 ან.

თუ ხანგრძლივი შეთანხმებაა, რვადქცეა გასწორდეს და შეიმოკლების დანიშნულ ფასად გამოგზავნილ წერილებს. დაბეჭდილ წერილს რვადქცეა უფასოდ განცხადებენ.

განცხადება მიიღება ქალაქში, ნუსხელ დასნეგ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ბელოვის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეა ნომერი „დროებისა“ დაბეჭდილი შაბათ.

სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ ნახევარი გამოვცეთ ჩვენის გაზეთისა.

ტელეგრამა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსა.“)

პეტერბურგი, 3 ნოემბერს. „მძარეთებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ გუბერნიის მთავრობას მხოლოდ განსაკუთრებითს შემთხვევაში აქვს უფლება იშუამდგომლოს სოფლის საზოგადოებათა გარდასახადის შეწევნაზედ ანუ დროებაზედ.

„ბოლოსში“ სწერენ, რომ გუშინ გახსნილა მარიუპოლის რკინის გზა.

იდღესასწაულეს ათის წლის არსებობა საქალაქო საქმიო კურსებისა; ბევრი თანაგრძნობითი სიტყვები წარმოითქვა ამ დღესასწაულზე; განსაკუთრებითი ყურადღება შროტოიესეის კოტრიარევსკის სიტყვამ დაიმსახურა. ბოროზენეის გუბერნიის ექიმთა კრებამ ერთ-ხმად გადაწყვიტა: გამოეცხადოს ჩვენის მხრით თანაგრძნობა საქალაქო საქმიო კურსებსა და საერო კრებებს ყურჩიოთ, რომ საერო ექიმებათ ქალები-ექიმები დანიშნონ.

კახანოვის კამისია იხილავს ამ ჟამად საერო კრებათა სხვა-და-სხვა შუამავლობას, რომელთაგან ზოგიერთები ადგილობრივ ინტერესებისათვის ძალიან საყურადღებო ადმოჩნდა.

„დროების“ ფელეტონი, 5 ნოემბერ.

ფბრალო გარემოება

მე და მამა ოქროპირე 187* წელს გავეცანით ერთმანეთს. ის არის რიგიანი ბერი, რომელსაც ვერავინ ვერ შესწამებს „წვერცამეტობას“, და არც მე გახლავართ ისეთი კაცი, რომლის პირის ქცევა ყველა წვერცამეტასათვის მოვალეობას შეადგენს.

აღფურვილნი ამისთანა ღირსებით, ჩვენ ერთმანეთს ვერ ავცდებოდით ცხოვრების გზაზედ. და აგერ, მართლაც ერთ მოღრუბლულ დილას შემოდგომის ტლაპოში, მე და მამა ოქროპირე ერთსა და იმავე დროს გავჩნდით ჩვენი სულფლის შუა-გზაზედ, სადაც კაცი ვერ გაბედავდა გამოსელას, თუ არ ყოველად შემძლებელი ნიშადურის სასტიკი ზედ-მოქმედება. ეს ის დღე იყო, როდესაც პირველად გავიგეთ ნიშადურის ძალა მეცა და ბერმა ოქროპირემაც.

ის მიემგზავრებოდა დასავლეთისკენ, მე კი ჩემი ნიშანი ამოღებული მქონდა აღმოსავლეთისაკენ, და ამ სახით უნდა პირისპირ შეეყრილვიყავით ორნი ფრიად ღირსეულნი მგზავრნი.

ოქროპირე იყო მალალ-მალალი და ახმახი კაცი, რომელსაც მარტო საკუთარი მუცელიც ერეოდა ხოლმე მშრალ ამინდშია და, რასაკვირველია, ასეთი ტალახი ძალიან უჭირებდა საქმეს. მე კი, ერთი პაწაწინა ქონდრის კაცი, გამოკლარწული, ზეზეულად ჩამომხმარი, უფრო ნაკლები სიმსუნაგით მიყურებდა ეს გზა, თუმცა დიდი სიფრთხილე მჭირდებოდა, რომ ტლაპოში არსად ჩავვარდნილიყავ და ორშაბათის უენს არ დავმგზავსებიყავ.

ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ დაუსისწვრიდით მე და ოქროპირე ერთმანეთს. ერთი ბედნიერი შემთხვევა რომ არა, ჩვენი გაცნობა გადაადებოდა მომავლისათვის. მაგრამ შემთხვევა მოხდა და თან მოიყოლა ჩვენი დაურღვეველი კავშირი, ჩვენი ღირსშესანიშნავი მეგობრობა.

ეი როგორ იყო საქმე:

ოქროპირეს ეპყრა ხელში შეეერცხლილი კვერთხი და ტანთსაცმელი კი მეტად ღარიბი ჰქონდა. უნდა ვაღიაროთ და ესთქვა, რომ მე თავში გამიელა უადგილო ეჭვმა—უთუოდ სხვისი უნდა ყოფილიყო ეს კვერთხი, და მხოლოდ შემდეგ ერთ-ნაირი პროცესისა, რომელსაც მდაბიურად აწაპნას, აკვრას ეძახიან, ჩაუვარდა ხელში ამ ლატაკ კაცსა, თორემ სამაგისო ფულს სად იშოვნიდა-მეთქი. სწორედ ამ ერეთიკული აზრის ბრალი უნდა ყოფილიყო, რომ მე უცებ გამიცურდა ფეხი და ჩავიმუხლისთავე ტალახში.... თუმცა ისევ მალე წამოვხტი, მაგრამ უცებ, ალბად ჩემი მაგალითით შეშინებული თუ წახალისებული, გაიშალა მამა ოქროპირეც და ერთი სხვანაირადაც გაიშალა: უმტყუნა ჯოხმა, თავი და მუცელი ვეღარ შეიმაგრა და პირქვე სიგრძეზე, ხელებგაშლილი ჩაეცა ტლაპოში კაცი...

ასტყდა ერთი საშინელი ბრძოლა მამა ოქროპირესა და ტალახ შორის; მაგრამ რამდენიც მომატებულ მხნეობასა ხმარობდა პირველი, იმდენს საფუძვლიანად ებღაუჭებოდა მას უკანასკნელი. ეს ბრძოლა ინაცვალებდა საგნის შესახებ ის ცალკე აზრს წარუდგენს საზოგადოებას;

2) ამ გვარ კამპანიის დაარსებას სარგებლობის მოტანა შეუძლიან ქავკასიისათვის და

3) კამპანიას უფლება აქვს—რამდენიც უნდა, იმდენი ფული აწარმოოს ამ საქმის წასაყვანად.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარ გარდაწყვეტილებას ქავკ. სამეურნეო საზოგადოებისას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს ამ საქმეში.

* * *

მოგვყავს ცოტათი უფრო დაწვრილებული ამბავი ვლადიკავკაზის საქალაქო ბანკის გაკოტრებაზედ: როგორც გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, ამ ბანკში ყოფილა: 150,000 მან. თავნი ანუ ძირის ფული, 1,400,000 მან. კერძო შეტანილი, სარგებლით, შესანახავად და 150,000 მანეთიც სახელმწიფო ბანკიდამ ჰქონია სესხად აღებული. ამ ფულიდამ ამ ჟამად ერთი გროშიც აღარ დარჩა ბანკში, თითქმის სულ ბანკის გამგებლებს წაუღიათ და მაგიერად დაუტოვებიათ ექსილები, რომლებითაც ბანკი ერთს ფარასაც ვერ ამოიგებსო.

ამ ბანკის ფულის შეჭმას აბრალებენ: ადრინდელ დირექტორს ბანკისას ივ. ბაგდანოვს, იმის ძმას—ძალაქის თავს ბრ. ბაგდანოვსა და ახლანდელ დირექტორს ზუევიჩს.

* * *

„ეურიდიული მიმოხილვა“ გვაცნობებს, რომ აზნაურს ვ. მირზოევს ქავკასიის საინტენდანტოზე შეუტანია საჩივარი ტფ. ოლქის სასამართლოში და ამ საჩივრით 300,000 მან. ითხოვს საინტენდანტოდამ, ომიანობის დროს სამხედრო მასალების გადაზიდვის ფასსო. ამბობენო, უმატებს ზემოხსენებული გაზეთი, რომ ბ. მირზოევს აქვს ხელში ისეთი საბუთები, რომელნიც ამტკიცებენ ზოგიერთ ჩვენ ინტენდანტის ჩინოვნიკების უწესო ქმოქმედებასო გაელილ ომიანობის დროს.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად დაბეჭდილი სამეგრელოს სოფ. სუჯუნიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორიც ზოგიერთ უკმაყოფილებას აცხადებდა იქაურის სკოლის მასწავლებელზე; სხვათა შორის, ქართული გალობა მოსპო აქაურს სობოროში და რუსულად აგალობებს თავის შაგირდებსაო, რომელიც ხალხს სრულიად არ ესმისო და სხვ. ამ კორრესპონდენციის თაობაზედ ჩვენ მიეიღეთ ბ. სუჯუნის მამასახლისისაგან ახირებული გამამართლებელი წერილი ბ. მასწავლებლისა; მოგვყავს ამ წერილიდამ უმთავრესი ალაგები:

„მე გახლავარ ამ საზოგადოების შვიდასი კომლისაგან ადმორჩეული მამასახლისი. ნათქვამია „თავის ქება კიტრად

და ალმოსავლეთისაკენ, და ამ სახით უნდა პირისპირ შეეყრილვიყავით ორნი ფრიად ღირსეულნი მგზავრნი.

ოქროპირე იყო მალალ-მალალი და ახმახი კაცი, რომელსაც მარტო საკუთარი მუცელიც ერეოდა ხოლმე მშრალ ამინდშია და, რასაკვირველია, ასეთი ტალახი ძალიან უჭირებდა საქმეს. მე კი, ერთი პაწაწინა ქონდრის კაცი, გამოკლარწული, ზეზეულად ჩამომხმარი, უფრო ნაკლები სიმსუნაგით მიყურებდა ეს გზა, თუმცა დიდი სიფრთხილე მჭირდებოდა, რომ ტლაპოში არსად ჩავვარდნილიყავ და ორშაბათის უენს არ დავმგზავსებიყავ.

ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ დაუსისწვრიდით მე და ოქროპირე ერთმანეთს. ერთი ბედნიერი შემთხვევა რომ არა, ჩვენი გაცნობა გადაადებოდა მომავლისათვის. მაგრამ შემთხვევა მოხდა და თან მოიყოლა ჩვენი დაურღვეველი კავშირი, ჩვენი ღირსშესანიშნავი მეგობრობა.

ეი როგორ იყო საქმე:

ოქროპირეს ეპყრა ხელში შეეერცხლილი კვერთხი და ტანთსაცმელი

მამა ოქროპირეს და ვეღარ მიახწეინებდა ის თავის მიზანს, რომ მე არ შეესწრებულვიყავ იქ ჩემის ქონდრის კაცობით. ბაგიკვირდებათ კი, ეიცი, რა უნდა გეშველნა შენ იმისთვისაო? მართლაც, ჩემი ფიზიკური ლონით მე რას შევეწეოდი იმოდენა ადამიანს! მაგრამ ბაჩაგანა კაცზე იტყვიან ხოლმე—რასაც მიწაზე ხედავთ, ერთი იმოდენი მიწაში დაგოგაესო.

ცოტა მოფიქრების შემდეგ, მე ეტაცე ხელი ბერის ჯოხსა, როგორც იყო, ამოვუტარე ოქროპირეს ქვემოდან და მწვეტი ბოლოთი დაეუწყე დაუცხრომელი ლუტუნი, რომელზედაც დავამყარე მთელი ჩემი იმედი, რადგან ვიცოდი, რომ როგორც ახალგაზდა შეყვარებული, ისე ყოველი ბერი, რომელი წლოვანობისაც უნდა იყოს, იქვიანია და, მაშასადამე საშინლად ეშინიან ლუტუნისა.

წარმოიდგინეთ, რომ ჩემმა მოფიქრებამ გასჭრა: ერთბაშად მეომარ ბერს აუვარდა სიცილი ამ მტირალ გარემოებაში, დამიწყო ვედრება, რომ თავი დამენებებინა, მაგრამ მე ჩემი არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირსო“, მაგრამ იმას კი თამამად ვიტ-ყვი, რომ ავისა და კარგის გარჩევა შე-მიძლია და მეხმის, როგორც წარმომად-გენელს მდაბალის საზოგადოებისას(?!)..

„ბ. ავტორის წერილი ერთიოდენ კერძო ინტერესებით კიცხავს ჩვენს მას-წავლებელს... რუსული გალობა წინადაც საკმაო დროიდგან იყო ჩვენს სობორო-ეკკლესიაში, მაგრამ არა-ნიადაგ. ათი-თორმეტი წელიწადი განმავლობს, რაც სასწავლებელი გახსნილა,—რასაკვირვე-ლია ბავშვები ისწავლიდნენ რუსულ გა-ლობას.

„და უმჯობესი არ არის, კარგად გან-მშვენებით იგალობონ ამ მასწავლებლებ-მა და მისმა შაგირდებმა ხანდისხან ლოს-პოდი პამილუი, რომელსაც სალხი სა-სოებს და თვისებაც აქვსთ ქართულისა და რუსულის გალობისა?. ნეტამც ვინმე დროთი-დრო ბერძნულ გალობასაც იგალობებდეს, — არა უშავს-რა ჩვენ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთათვის!..“

* * *

ქუთაისიდამ შემდეგ ამბავს გვწერს ერთი იქაური სომეხი ალექსანდრე ბეგილიანცი იქაურს სომხის მღვდელ-ზე მ. ტ.-დ. ი—ცზე:

26 ოქტომბერს ერთი მოხუცებუ-ლი ქალი მირიანოვისა მიიცვალა და იმას მიასვენებდნენ სასაფლაოზედო. სასაფლაოზე რო მიასვენეს მ. ტ.-დ—ს შეეტყო, რომ მიცვალებულის ჭირის-უფლებს ქელეხი არ გამმართოთ. ეს ისე იწყინა თურმე, რომ იმ წამსვე მოი-ხადა ფილონი, ჯვარი სხვას ვარდას-ცა, მიცვალებული მიატოვა და წა-მოვიდა სასაფლაოდამ. ქარგი ბედია, რომ იქვე მეორე მღვდელი დაესწრო, რომელმანც შეასრულა ყოველი წესი, თორემ, თქვენს მტერს, მიცვალებუ-ლი დაუსაფლავებელი დარჩებოდაო.

წერილი რედაქტორთან

—

ბ. რედაქტორო! ამ თვის 3-ს იყო დანიშნული ბენეფისი ბ. ა. ფიფიანი-სა („აკაცის მკვლელი“), რომლის გა-მოთაც წავედი თეატრის კასაში ლო-ჟის ბილეთისთვის და რადგან ბილე-თები მზად არ გახლდათ, დავეწერე და დანიშნული ფასი ჩავაბარე ბატონ კასირს, რომლიდამაც მესამე დღეს მივიღე ლოჟის ბილეთი № 11-ტი.

დანიშნულს დღეს მივდიოვართ და ჩემგან ნაყიდ ლოჟაში სხვები ბძან-დებიან, რომლებმაც ჩემს კითხვაზედ მიპასუხეს, ეს ლოჟა აბონიმენტით გახ-ლავთ ჩვენიო. აეკითხები კასირს და პასუხს მაძლევს ბატონი ანტრეპრენი-ორის ძმა აბაშიძე (რომელთანაც საქმე არ მქონია), „вкралась маленькая ошибка“.

ქარგიქნება, ჩვენმა ქართული დასის ანტრეპრენიორებმა რიგიანი ყურად-ღება მიაქციონ თეატრის წესებს და ამისთანა მცირე შეცდომა (როგორც ეძახიან) აღარ მოუვიდესთ.

თ. სოლომონ ვაჩნაძე.

ნარევი

—

ერთს ამერიკის გაზეთში სწერია ასი-რებული თავის-მკვლელობის ამბავი. ეს შემთხვევა მოხდარა ამერიკაში. აი, რა წერილი უნახავთ მიცვალებულის მარცხე-ნა ფეხის ჩექმაში:

„მე შევირთე ქვრივი, რომელსაც მოზ-დილი ქალი ჰყავდა. მამაჩემი ხშირად და-დიოდა ჩვენსას, შეუყვარდა ჩემი გერი და შეირთო. ამ ნაირად ჩემი მშობელი მამა გახდა ჩემ სიძედ და ჩემი გერი ჩემ დე-დათ, რადგან ის შეიქნა ცოლი მამი ჩე-მისა.

„რამდენიმე ხნის შემდეგ შემეძინა ვა-ჟი, რომელიც, რასაკვირველია, ჩაითვალა მამიჩემის ცოლის ძმათ და ჩემ ბიძათ, რადგან ის იყო ძმა ჩემის დედინაცვლი-სა. მამიჩემის ცოლს, ე. ი. ჩემს გერს მიეცა ვაჟი, რომელიც გახდა ჩემი ძმა და მასთან ჩემი შვილი-შვილიც, რო-გორც შვილი ჩემი გერისა. ამ ნაირად ჩემი ცოლი შეიქნა ჩემ ბებიათ, როგორც დედაჩემი დედი-ნაცვლისა. მე კი ვიუკვი ქმარი ჩემის ცოლისა და იმავე დროს იმის შვილის-შვილიც და რადგან რომე-ლიმე პირის ბებიის ქმარი ამ პირისათ-ვის პაპაც უნდა იყოს, ამის გამო მეც, მე უბედრუკი და უბედური, გავხდი ჩემის თავის პაპა!“

* * *

ვიღაც ახირებულ ამერიკელს ტეტნლის საზღვეველ საზოგადოებაში დაუზღვევი-ნებია ძვირფასი ციგარები. რამდენიმე წელიწადში ამერიკელმა მოსწია ყველა ციგარები და კიდევაც მოითხოვა საზო-გადოებისაგან თული დაშეკარი ციგარე-ბისა. საზოგადოებამ უზღო თულები, მაგრამ საჩივარი დაიწყო იმ კაცზე: სა-ზოგადოებაში დაზღვეულ ციგარებს ად-ათ წაუკიდა ტეტნლი..

განცხადებანი

—

ქუთაისის ქალაქის

გამგეობისაგან

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ცამეტს ნოემბერს 1882 დანიშნულია ვაჭრობა ქუთაისის ბულვარში მადნეულების წელიწადის საჯაჭ-როთ გაკეთებულის კიოსკისა იჯარით გაცემაზე.

ვაჭრობა დაიწყება 12-ს სა-ათზე და გათავდება 2-ს საათ-ზე.

დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება უბრალოში ყო-ველ დღე უქმის გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 2-ს საა-თამდე. (3—1)

სილრალის მოქალაქე ივანე ჯა-ნოვი მწუხარებით აუწყებს თა-ვის ძმის ვასილ გიორგის-ძის ჯა-ნანოვის გარდაცვალებასასა და სთხოვს ნათესავთა და ნაცნობ-თა მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ ამა თვის 5-სა, პარასკევს, დილის 10 საათზედ ალოუბანის ეკკლესიაზე და იქ-დან პავლაბარში, პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ.

20 ბიოლოგიისთვეს, შაბათს,

დანიშნულია

კრება,

რომელზედაც უნდა შემუშავდეს და გამოიკვლიოს ქართული ტერმინები ყველა სასწავლო საგნებისა. მსურ-ველთ ამ კრებაზე დასწრებისა სთხო-ვენ დანიშნულ დღისათვის შეჰკრი-პონ, როგორც მზა ქართული ტერ-მინები, აგრეთვე გამოსაკვლევი—ახ-ლები, რომელნიც გარჩეულ იქმნე-ბიან კრებაზე.

შემორჩილესად სთხოვენ აგრეთვე ქალაქა გარეშე მცხოვრებთა, რო-მელთაც კი შეუძლიანთ ამ საქმეში დახმარება—თავის ცნობები გამოგზავ-ნონ ამ ადრესით: Тифлисъ, городское Ремесленное Училище, преподавателю А. Гуладзе, ანუ І. Мревлишвили.

ადგილი თავის დროზე იქნება გა-მაცხადებული. (10—3)

ეიშილე. ოქროპირე ჯერ კი შესუსტ-და, მაგრამ ბოლოს ერთი საშინელის ძალით წამოიწია და უცებ გადმობ-რუნდა ზურგზედ. უნდა დაგენახათ, რა პირის სახე ჰქონდა ამ დროს პა-ტიეცემულ ბერს!.. სქელი ტალახი, რომელიც წებოსავით იკრავს ადამი-ანს, გადაკრული ჰქონდა ლუკმა-ლუკმა პირზედ, ცხვირის ნესტოებზედ, ყურებზედ, თვალებზედ, შუბლი ხომ ალარა ჩანდა. ასეთ საგულისგულო გამასხარავებას ვერც ერთი მტერი ვერ მოიფიქრებდა და ვერ მოუხერხებდა თა-ვის მოკამათეს. მაგრამ სიცილის თავი ვისა ჰქონდა, გარდა თითონ ოქრო-პირისა, რომელსაც არ მიეცი მოს-ვენება, მანამ არ წამოესვი და მერე ეჰვების აღმძვრელი ჯოხი არ მიეცი ხელში.

ალბად ბუნების სტიქიამ იცოდა მამა ოქროპირეს განძრახვა და, ხომ მო-გეხსენებათ, რომ ყოველი სტიქიური ძალა საშინელი ლიბერალია, რის გა-მოც ასეთ სასოწარკვეთილებაში მო-დიან პოლიციური დაწესებულებანი ყოველ ქვეყანაში,—და უნდოდა ამ სტიქიას, ტალახს, დაეცვა პირი მამა ოქროპირესათვის, რომ უკანასკნელს ველარ ეხმარებინა თავისი მძლავრი ენა. მაგრამ მე გადაუდექ წინ ამ გან-ძრახვას ბუნებისას, ავაყენე პატიეცე-მული კაცი, მივიყვანე გუბესთან, და-ვაბანინე პირის სახე და ამით დაეიმ-სახურე მისი ჩემდამი ყურადღება და მეგობრობა.

მამა ოქროპირემ შემატყობინა ამ-ხელად, რომ ის მიემგზავრება ტფი-ლისში, თავის უფროსეს ბერთან, რომელსაც უნდა შესჩიოლოს ბევრი რამ. ჯერ-ჯერობით არა თქვა რა თავის საჩივარზედ, მაგრამ დაჰპირდა, რომ უკეთუ გასჭრის მისი ერთგუ-ლობა და ჩაეთვლება ღირსებად მისი ქვეშევრდომობითი წადილი, მაშინ იგი მიამბობს მე ყოველსავე.

არ გასულა სულ ერთი თვე, რომ ჩემი ორთავე თვალებით დავინახე იგი-ვე ოქროპირე, მაგრამ სრულებით სხვა გარემოებაში. ვინლა იცნობდა ახალ ბრწყინვალე მიტრაში, ოქროს ჯვარში, ახალთ-ახალ აბრეშუმის ფე-რად-ფერად საცმელებში მამა ოქრო-პირეს, რომელიც იდგა წირვაზედ თა-ვის ახალ სამწყსოში!

წირვის შემდეგ მიველი ჯვარზედ სამთხეველად, და ახალმა არხიმანდ-რიტმა მიმიპატიჟა თავის სადგომში. მე სიამოვნებით აღვასრულე მისი სიტ-ყვა. ბახარებულმა ოქროპირემ მიამ-ბო:

— ასე ყოფილა, შვილო, ეს ქვე-ყანა... ხშირად უბრალო გარემოებას შეუძლიან ადამიანის ფეხზედ დაყენე-ბა. როგორც შენ მე ამას წინად და-მიხსენი სასირცხო სიკვდილისაგან ტა-ლახში წარმოუდგენელი იარალით—ლუტუნით, ისრე სხვა გვარმა უბრა-ლო იარალმა მე დამიხსნა ჩემი მწვავე ბედისაგან. სილარიბე და ჩაგრულობა უფროსებიდგან იყვნენ ჩემი მდევარ-ნი. მე მათ ვერს დ ავცდი. ჩემი სარ-ჩო იყო მხოლოდ ჩემი ხუმარა ენა, მასხარობა, რისთვისაც „საცა კომლი მაღალი იყო, მე იმათი სტუმარი ვი-ყავ“. ქელეხები და ქორწილები უჩე-მოდ არ გადასწყდებოდნენ, და ამ ხელობითა მქონდა კუჭი მაძღარი. მაგ-რამ ჩემი კუჭის სიმაძღრე ხშირად მა-ყენებდა უფროსების უკმაყოფილებას. ვერა სახსარი ვერ ვუპოვნე ჩემ თავს დასახსნელად. ბოლოს გადავწყვიტე ამ გარემოებიდგან გამოსვლა ამ სა-შუალებით, რომელსაც ეძახიან ამბავ-ტანიობას. მაგრამ ამაშიაც არჩევანს დიდი ადგილი უჭირავს. მე ჩემ გარ-დაწყვეტილებას მივეცი სრულებით სვა რიგი ხასიათი და რა უცბად გასჭრა, დიდება შენდა ღმერთო! მასჭრა გამოუძიებლად, პირ-და-პირ, შეუმოწმებლად!..... დავასა-ხელე თუ არა, რომ ჩვენი მეთქი, და ჩემმა ბედმაც გაიღიმა მხიარულად. მაშინათვე ჩამბარეს ეს დიდი ძველე-ბური მონასტერი თავისი სამწყსითი და თანაც იმედი მომცეს, რომ, უკე-თუ რიგიანად აღვასრულებ მოცემულ ინსტრუქციას, იქნება, ტფილისშიაც გადმოგიყვანოთო...

დიაღ, ხშირად უბრალო ენატანია-ობას ძრიელ ბრალიანი და ბარაქია-ნი ადგილი მოზდევს ჩვენ ქვეყანა-ში!..

სტ. ჯრ—შვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Ноября 1882 г. Типографія Меликова ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი